# მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი ბაზა


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 99 (4093)

1970 წ. 23 მაისი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


### ...და სხვა [illegible]

მოცურავეებს, წყალში მხტომელები, წყალბურთელები დიდად გაგვახარა ახალი სამაბაზანიანი აუზის მწყობრში ჩადგომამ. ქალაქში, სადაც აქამდე ერთი ხეირიანი აუზიც არ იყო, აღიზარდნენ ისეთი ოსტატები, როგორიც არიან ჩიქვანაია, მიმინოშვილი, გულედანი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ქუთაისში აღზრდილ ოსტატთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

შესანიშნავი ბაზა მზადაა. ახლა მხოლოდ გულმოდგინე შრომაა საჭირო.

დ. ხორავა,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი წყალბურთში.

## მოგილოცავთ, ქუთაისელებო!

ქუთაისში მწყობრში ჩადგა კომპლექსური საცურაო ბაზა — რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ნაგებობა.

ახალ ბაზას სამი აუზი აქვს. ერთი, რომლის სიგრძე 50, ხოლო სიგანე 21 მეტრია, მოცურავეებისა და წყალბურთელებისთვისაა განკუთვნილი. მეორე აუზში (25×20 მ) ჩატარდება საწვრთნელი მეცადინეობები და წყალში მხტომელთა შეჯიბრებები. მესამე აუზი (20×10 მ) სასწავლოა.

საცურაო აუზის ტრიბუნები 1200 კაცს იტევს, სახტომი აუზისა — 700 მაყურებელს.

წარსულში ჩვენი ქალაქის სპორტული დელეგაციები რესპუბლიკურ შეჯიბრებებსა თუ სპარტაკიადებში აუნაზღაურებელ საჯარიმო ქულებს ღებულობდნენ საწყლოსნო სახეობებში. მოცურავეები, წყალში მხტომელები, წყალბურთელები მუდამ ბოლო ადგილებზე იყვნენ, ხოლო, ვინაიდან ამ სახეობებში მაღალთანრიგოსანი სპორტსმენები არ გვყავდა, ზოგჯერ შეჯიბრებაში საერთოდ ვერ ვმონაწილეობდით. დღეიდან თავს ვეღარაფრით გავიმართლებთ. ამ შესანიშნავ ბაზაზე ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ, თუ წარსულში დიდი სპორტული ტრადიციების ქუთაისი რესპუბლიკას შესანიშნავ კალათბურთელებს, მოჭიდავეებს, ფეხბურთელებს აძლევდა, მომავალში წყალში ხტომის, წყალბურთის, ცურვის ოსტატებიც მივცეთ. ცურვასა და წყალში ხტომაში ქუთაისს მაღალკვალიფიციური მწვრთნელები არ ჰყავს და ამ მხრივ დახმარებას ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტისგან მოველით.

ახალი ბაზა ჯანმრთელობის შესანიშნავი კერაც იქნება. უახლოეს დღეებში აქ შეიქმნება გამაჯანსაღებელი ჯგუფები ხანდაზმულთათვის, რომლებსაც გამოცდილი სპეციალისტები უხელმძღვანელებენ.

რაც შეეხება სასწავლო აუზს, მისი კარი ღია იქნება ყველა მსურველისთვის.

ქუთაისელი ახალგაზრდები, სპორტსმენები და სპორტის მოყვარულები უსაზღვრო მადლობას გამოთქვამენ საქართველოს პროფსაბჭოს, „განთიადის" ცენტრალური საბჭოსა და ქალაქის ხელმძღვანელობისადმი.

მ. ტურაბელიძე,
„განთიადის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

* * *



სურათზე: საცურაო აუზის ერთი კუთხე — წყალში ხტომის აბაზანა.

შ. ჩხეტიანის (ასს-ი) ფოტო.

## საჩუქარი საიუბილეო დღეებში

ქუთაისის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ქალაქის ახალი უბანია. აქ სულ ორი ათეული წლის განმავლობაში აშენდა ახალი საწარმო-დაწესებულებები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტები. ქალაქის ახალ მაგისტრალზე — ჭავჭავაძის პროსპექტზე გაშენდა პიონერთა და მოსწავლეთა შესანიშნავი პარკი.

სწორედ ამ პარკის გაგრძელებაზე მოვიდნენ ამ ორიოდე წლის წინ მშენებლები. აგუგუნდნენ ბულდოზერები, ექსკავატორები, თვითმცლელები... საძირკველი ჩაეყარა ახალ ბაზას — კომპლექსურ საწყლოსნო აუზს.

საშვილიშვილო საქმისთვის თავს არ ზოგავდნენ სამუშაოთა მწარმოებელი, ინჟინერი გ. ასათიანი, ბრიგადირები და მუშები ბ. ხვალაგიანი, გ. სურგულაძე, რ. კუხიანიძე, ვ. ბილისეიშვილი, რ. სვანიძე, ზ. ჩალაძე...

ბაზის მშენებლობა საქართველოს პროფსაბჭომ და „განთიადის" ცენტრალურმა საბჭომ ითავეს. საქმის დროულად და ხარისხიანად დამთავრებისთვის ყოველდღიურად ზრუნავდა ქალაქის ხელმძღვანელობა. და აი, ახალი კომპლექსი უკვე მზადაა.

ქალაქის ახალგაზრდობას ახლა სასაყვედურო აღარ ექნება: მათს განკარგულებაშია საცურაო, სახტომი, სასწავლო აუზები, კეთილმოწყობილი გასახდელები, შხაპები. რაც მთავარია, სპორტული კომპლექსი მთელი წლის მანძილზე იმუშავებს. აქ გაიმართება საქალაქო, რესპუბლიკური, საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებები ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთში.

ახალი ბაზის ტერიტორიაზე მოეწყობა კალათბურთის, ჩოგბურთის, ფრენბურთის მოედნები, რომელთა მშენებლობა უკვე დაიწყო.

ლამაზად მოვაწყვეთ კომპლექსის ეზო. ამ საქმეში ლენინური შაბათობებით დახმარება გაგვიწიეს ქალაქის მშრომელებმა, უმეტესად — სპორტსმენებმა.

კომპლექსი ქუთაისის ახალგაზრდებმა ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღეებში მიიღეს საჩუქრად.

შ. მაღლაკელიძე,
აუზის დირექტორი.

## საქართველოს მრავალდღიანი...

15 მაისს გაგრაში სტარტი აიღო საქართველოს ჩემპიონატმა მრავალდღიან ველორბოლაში. შეჯიბრებაში „დინამოს", „განთიადის", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", თბილისის ასკ-ს, „კოლმეურნისა" და „ლოკომოტივის" 40 ველოსიპედისტი ჩაება.

რბოლის პირველ ორ ეტაპზე გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ სპორტსმენებმა ნამდვილი მებრძოლის თვისებები გამოიჩინეს. მათგან ასპარეზობას გამოეთიშა მხოლოდ დინამოელი ზ. ხოშტარია, რომელიც სერიოზულად დაშავდა.

პირველ ეტაპზე (გაგრა — სოხუმი, 100 კმ) საუკეთესონი იყვნენ ვ. კეხბა — 2:37.0, ს. გრიშკევიჩი (ორივე — „განთიადი") — 2:37.15 და ვ. პეტრინი („დინამო") — 2:37.16.

მეორე ეტაპი (სოხუმი — ფოთი) ორ ნაწილად გაიყო. სოხუმიდან ზუგდიდამდე მოეწყო გუნდური რბოლა 75 კმ-ზე. აქ საუკეთესო დრო აჩვენა „განთიადის" გუნდმა. II ადგილზე გავიდა „დინამოს" კოლექტივი, III — „სპარტაკისა" და „ბურევესტნიკის" წარმომადგენლები.

ზუგდიდიდან გუნდები 70 კმ-ზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ფოთში ფინიშთან პირველი მივიდა არმიის სპორტკლუბის წარმომადგენელი ვ. პოპოვი — 1:43.00. II ადგილზეა პ. ჩუტკერაშვილი („ბურევესტნიკი") — 1:43.01, III — გრიშკევიჩი — 1:43.02.

მეორე ეტაპის შემდეგ ლიდერი გახდა გრიშკევიჩი.

მესამე ეტაპს (ფოთი — ქუთაისი) პირად და გუნდურ პირველობაში არავითარი ცვლილება არ შეუტანია. ეტაპი მოიგო კეხბამ — 2:39.55. მეორე იყო ა. კოსტეცკი („ბურევესტნიკი") — 2:40.10, მესამე — გრიშკევიჩი.

მეოთხე ეტაპი ყველაზე რთული იყო. მონაწილეებს რიკოთის უღელტეხილი უნდა გადაელახათ. სტარტიდან დაწინაურდა ოთხეული — კეხბა, ი. კრასავცევი („განთიადი"), რ. საიდხუჟინი („ბურევესტნიკი") და პეტრინი. ხაშურში ფინიშთან პირველი მივიდა კრასავცევი — 2:21.30. მას კვალდაკვალ მიჰყვა კეხბა, რომელსაც ასეთივე შედეგი აქვს. მესამე იყო პეტრინი — 2:22.30. ამ ეტაპზე ბედმა უმტყუნა რბოლის ლიდერს გრიშკევიჩს. ოთხი ეტაპის ჯამში ლიდერობა ხელთ იგდო კეხბამ.

მეხუთე ეტაპი (ხაშური — თბილისი) ყველაზე გრძელი (135 კმ), მაგრამ ყველაზე სწრაფიც გამოდგა. მიზეზი ძლიერი ზურგის ქარი იყო. სტარტიდან დაწინაურდა ექვსკაციანი ჯგუფი, რომელმაც ყველაზე ადრე დაამთავრა რბოლა.

თბილისში ფინიშთან პირველი მივიდა სპარტაკელი შ. დაიაური — 2:43.00. მეორე იყო ვ. მალივანიკი („დინამო"), მესამე — არმიელი ო. ნიშნიანიძე. მათ იგივე შედეგი აჩვენეს, რაც გამარჯვებულმა.

ეს ეტაპი მოიგო „სპარტაკის" გუნდმა. გამარჯვებულის საშუალო სიჩქარე საათში 50 კმ-ს უდრიდა.

5 ეტაპის შემდეგ რბოლას კვლავ ლიდერობს კეხბა — 13:12.41. II ადგილზეა მალივანიკი — 13:14.09, III — გრიშკევიჩი — 13:14.47.

გუნდურ ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა: „განთიადი" — 54:42.01, „ბურევესტნიკი" — 55:26.56, „დინამო" — 55:50.40.

შ. სალარეიშვილი.

## სამი „მოსკვიჩი" გზას განაგრძობს

საქვეყნო მოვლენები

ლონდონი, 21 მაისი. იმ 96 მანქანიდან, რომლებმაც ლონდონ—მეხიკოს რალის სტარტი 19 აპრილს აიღეს, კოლუმბიამდე მხოლოდ 29 ეკიპაჟმა მიაღწია. როგორც უკვე ვიუწყებოდით, მსოფლიოს ყველაზე მაღალმთიანი დედაქალაქის ლა პასის (ბოლივია) ახლოს ტრასაზე მარცხი შეემთხვა ი. ასტაფიევის ეკიპაჟს. ე. ლიფშიცმა და ვ. შაველევმა, რომლებიც ამხანაგებს ეხმარებოდნენ, დროის საკონტროლო პუნქტში დააგვიანეს და ისინიც გამოეთიშნენ ბრძოლას. სამი მცირელიტრაჟიანი „მოსკვიჩი" შეჯიბრებას აგრძელებს. ასეთივე წარმატებით თავის მოწონება შეუძლიათ მხოლოდ „ფორდს" და ინგლისურ ფირმა „ლეილანდს". რაც შეეხებათ „სიტროენებს", „მერსედესებს", „ოსტინებს", „მორისებს", ბევრი მათგანი უკვე მარათონული ტრასის მიღმა დარჩა... კოლუმბიის სადგურ ბუენავენტურეში ავტომობილისტებს ელით თბომავალი „ვერდი". ორგანიზატორებმა ჯერ კიდევ სტარტამდე მოამზადეს ამ „მუსიკალურ" ხომალდზე ადგილები მხოლოდ 35 მანქანისთვის, მაგრამ ახლა ესეც ზედმეტია. სამხრეთ ამერიკის გზები მეტისმეტად სასტიკი აღმოჩნდა და აქ ბრძოლას 40-ზე მეტი ეკიპაჟი გამოაკლდა.

„ვერდი" მონაწილეებს პანამაში გადაიყვანს. აქედან მრბოლელებს ელით პანამის, კოსტა-რიკის, ნიკარაგუას, გონდურასის, სალვადორის, გვატემალის, შემდეგ კი მექსიკის გზები.

რბოლას კვლავ ლიდერობს ფინელი ხ. მიკოლას ეკიპაჟი „ფორდ-ესკორტით". პოტაპჩიკის მანქანა XIII ადგილზეა, ხოლმისა — XV, ტენიშევისა — XVII. პოტაპჩიკი თავის კლასში II ადგილზეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოფლის სპორტსმენთა თამაშები

# რესპუბლიკური რეკორდით

რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენებმა უკვე გამართეს შეჯიბრება თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ რიგით მეხუთე სახეობაში — ძალოსნობაში. სპორტსმენებმა ბათუმის რაიონის სოფელ წინსვლის კოლმეურნეობის დარბაზში მოიყარეს თავი. მასპინძლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს 14 გუნდის 126 ძალოსანს. ბრძოლა როგორც გუნდური, ისე პირადი პირველობისთვის დაძაბული იყო.

ქარელის რაიონის ნაკრების წევრმა ჯ. გოგსაძემ საქართველოს რეკორდი დაამყარა. ქვესაშუალო წონის ძალოსანი ამჯერად მისთვის უჩვეულო — საშუალო წონაში გამოდიოდა და მაინც შეძლო წარმატების მოპოვება: 137,5 კგ აჰიმა და 5 წლის წინ სპორტის ოსტატ ვ. ხვინჩენკოს მიერ დამყარებული რეკორდი 1 კგ-ით გააუმჯობესა.

გუნდურ ასპარეზობაში პირველობა მოიპოვა აფხაზეთის ნაკრებმა (248 ქულა), რომელმაც 6 ქულით გაუსწრო აჭარის გუნდს. III ადგილზეა მახარაძის რაიონი (222 ქულა), IV — თელავი (209), V — ახალციხე (202). VI-VII ადგილები გაინაწილეს წითელწყაროსა და ზუგდიდის წარმომადგენლებმა (171-171).

წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილებზე გავიდნენ: შ. კაზაროვი (ახალციხე), ა. ჩოლოკიანი (აფხაზეთი), ა. ოხანაძე (აჭარა), მ. უჯუხუ (მარნეული), ნ. თავართქილაძე (აჭარა), ჯ. გოგსაძე (ქარელი), ვ. ტიმონიჩევი (აფხაზეთი), გ. მიმინოშვილი (ქარელი), ტ. ნაკაიძე (მახარაძე).

**შ. კულულაშვილი,**
„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი.

(ჩვენი სპეც. კორ.).
სოფ. წინსვლა,
ბათუმის რაიონი.

# საბჭოთა გუნდი — ევროპის ჩემპიონი

**ბერლინი,** 21 მაისი. ძიუდოისტთა XIX ევროპულმა ჩემპიონატმა 20 ქვეყნის ათლეტებს მოუყარა თავი — აქ, „ვერნერ-ზეელენბინდერ-ჰალეში", დღეს შეჯიბრება ტრადიციისამებრ გუნდური შეხვედრებით დაიწყო (გუნდურ პირველობას 16 სახელმწიფო ეცილება ერთმანეთს). სამ კვადრატად დაყოფილ უზარმაზარ ღია ნაცრისფერ ჭილოფ-ტატამიზე ბრძოლაში ერთდროულად მოჭიდავეთა სამი წყვილი ჩაება.

ფინალის გზაზე სსრ კავშირის ნაკრების პირველ მეტოქედ შვეციის ძიუდოისტები წარსდგნენ. შეხვედრა ძალიან ხანმოკლე გამოდგა, ვინაიდან ყველა საბჭოთა სპორტსმენმა ვადამდე დაამთავრა ჭიდილი — წმინდად დაამარცხა მეტოქე. ლენინგრადელმა ს. სუსლინმა (მსუბუქი წონა) მე-5 წუთზე სწრაფი სარმით დასცა ი. ხამბალეკი, მოსკოველმა დ. რუდმანმა (ქვესაშუალო) მტკივნეული ილეთით წუთნახევარში სძლია ჰ. ჰოშს, კიეველმა ა. ბონდარენკომ (საშუალო) — ასევე მტკივნეული ილეთით ამავე დროში — გ. პისაგეს, სარატოველმა ვ. პოკატაევმა (ქვემძიმე) — 5 წუთში მოგვერდით — კ. ჰალას, თბილისელმა გ. ონაშვილმა (მძიმე) — ასევე მოგვერდით ამავე დროში — ტ. ლოფს.

შემდეგ წრეში საბჭოთა გუნდმა მოუგო დიდი ბრიტანეთის ნაკრებს (3:0), რომელმაც მანამდე ასეთივე ანგარიშით სძლია გდრ-ის წარმომადგენლებს. საბჭოთა ათლეტებმა შემდგომ წარმატებას ფრანგებთან ჭიდილში მიაღწიეს (5:0) და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც ავსტრიელებს შეეჭიდებიან. ავსტრიელებმა პირველ წრეში დაამარცხეს შვეიცარიელები (3:0), ხოლო ბოლო წრეში — ჰოლანდიელთა ძლიერი ნაკრები (2:1).

ევროპის ჩემპიონმა — გფრ-ის ნაკრებმა უაღრესად მწვავე შერკინების შემდეგ აჯობა ჩეხოსლოვაკიის გუნდს (3:2). ჰოლანდიელებმა მოუგეს დანიელებს (5:0), ბელგიელებმა — პორტუგალიელებს (5:0), პოლონელებმა — იუგოსლავიელებს (4:1).

ევროპის ჩემპიონატების 19-წლიან ისტორიაში ტატამიზე პირველად გამოვიდნენ ბულგარელი ძიუდოისტები. თანაც, კენჭისყრის ნებით დებიუტანტები პირველ წრეში ევროპის ექსგზის ჩემპიონს — საფრანგეთის ნაკრებს შეხვდნენ. ბულგარელები დამარცხდნენ (0:5), მაგრამ მათი მწვრთნელი ს. ხინკოვი მაინცდამაინც არ დანაღვლიანებულა.

— ჩვენ აქ სატურნირო გამოცდილების შესაძენად ჩამოვედით, — თქვა მან, — რათა 1972 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის კარგად მოვემზადოთ.

* * *

**ბერლინი,** 22 მაისი. სამწლიანი შესვენების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა. ეს მისი მეხუთე გამარჯვებაა ამგვარ შეჯიბრებებში მონაწილეობის 8-წლიან ისტორიაში.

II ადგილი დაიკავა ჰოლანდიის გუნდმა, რომელმაც ნახევარფინალში სძლია ფრანგებს — 3:2. ფრანგები და ავსტრიელები (ეს უკანასკნელნი ნახევარფინალში საბჭოთა გუნდთან დამარცხდნენ — 0:5) ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ. კონტინენტის შარშანდელი ჩემპიონი — გფრ-ის ნაკრები პრიზიორთა მიღმა დარჩა.

ჰოლანდიის გამოცდილ ძიუდოისტებთან საბჭოთა ათლეტების ჭიდილი ფრედ დამთავრდა — 2:2. მაშინ აწონ-დაწონეს გამარჯვებათა ხარისხი. საბჭოთა ნაკრებს ერთ-ერთ შერკინებაში წმინდა გამარჯვება ჰქონდა — ბონდარენკომ ასე დაამარცხა ი. სნაიდერსი. კიეველი ათლეტის გარდა ოქროს მედლები დაისაკუთრეს სუსლინმა, რუდმანმა, პოკატაევმა და ონაშვილმა.

ერთდღიანი შესვენების შემდეგ ძიუდოისტები პირად ტურნირს დაიწყებენ. აქ 20 ქვეყნის წარმომადგენლები გამოვლენ.

თბილისი გოლდ

# კარგი მოდის აყოლა

ამბობენ, მოდა ქალების საქმეაო. არ ვდავობთ, მაგრამ ჭადრაკში მოდის შემომღები ვაჟები არიან, მოჭადრაკე ქალები კი საუცხოოდ იყენებენ მათ თაოსნობას. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოს ქალთა VI საერთაშორისო ტურნირის I ტურში (რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზი, 21 მაისი), როცა ექვს შეხვედრაში სიცილიური დაცვა გათამაშდა.

სიცილიური დაცვა ამჟამად დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან მასში როგორც ტაქტიკური, ისე სტრატეგიული ბრძოლისთვის უშრეტი წყარო შეიძლება მოიძებნოს. მუნებრივია, რომ ამ დებიუტში ბევრი სისტემა და ფიგურების განლაგების ათასნაირი სქემა არსებობს.

თბილისის ჩემპიონმა ლ. კორომშინაძემ (შავებით) შევენინგენის სისტემა აირჩია, მაგრამ კონტრთამაში დააგვიანა და ინიციატივას პოლონეთის ჩემპიონი ქ. რაძიკოვსკა დაეუფლა. მერე კი ბრძოლის ბედი ცაიტნოტმა გადაწყვიტა: აჩქარებულ თამაშში პოლონელმა უპირატესობა დაკარგა და მეტოქეს ყაიმის დიდი შანსით გადაადებინა პარტია.

ეს სისტემა გამოიყენა ნ. ჩიქობავამაც, მაგრამ იგი უფრო აქტიურად თამაშობდა. ბულგარეთის ჩემპიონს ა. გეორგიევას გაუჭირდა მეტოქის მეთოდური შეტევის მოგერიება. თბილისელმა მოჭადრაკემ პაიკი მოიგო, მაგრამ პარტია გადაიდო სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში.

ამავე დებიუტში ხარკოველმა ო. ანდრეევამ „პატარა კომბინაცია" წამოიწყო, რაც მცდარი აღმოჩნდა. ა. ნიკოლაუმ (რუმინეთი) მყისვე გამოაშკარავა ეს. ბოლოს ანდრეევა უხარისხოდ დარჩა და პარტიის გადადება შეძლო, მაგრამ წაგებას ალბათ ვერ გადაურჩება.

სსრ კავშირის ჩემპიონმა ნ. ალექსანდრიამ იუგოსლაველ მ. მერლინს დახურული სისტემა შესთავაზა. პოზიციურმა ბრძოლამ ქართველ ოსტატს მცირე უპირატესობა მოუტანა. ეს მისთვის საკმარისი იყო, რათა ენდშპილში გამარჯვება მოეპოვებინა.

მძაფრი ტაქტიკური ბრძოლა გაჩაღდა ც. კობაიძე — ე. კაკაბაძის შეხვედრაში, რომელიც, მართალია, ძველინდური დაცვით დაიწყო, მაგრამ მალე სიცილიური დაცვის დრაკონის ვარიანტისთვის დამახასიათებელ სქემაში გადავიდა. კაკაბაძეს ტაქტიკოსის მახვილი თვალი აქვს და შესანიშნავად თამაშობს კომბინაციურ პარტიებს. კობაიძე პოზიციური სტილის მებრძოლია. იგი შეცდა, მეტოქეს როცა აჰყვა: უკვე 26-ე სვლაზე კობაიძემ დანებების ნიშნად საათი გააჩერა.

გადაიდო თ. ხუგაშვილ — ო. რუბცოვას (მოსკოვი) პარტია. მისი შედეგი დამოკიდებულია მსოფლიოს ექსჩემპიონის ჩაწერილი სვლის სისწორეზე.

სხვა დებიუტი (ესპანური პარტია), ისიც ძალიან რთული (პ. კერესის სისტემა) მხოლოდ ც. კახაბრიშვილ — ე. რუბცოვას (მოსკოვი) შეხვედრაში გათამაშდა. მეტოქენი სიამოვნებით მიდიოდნენ მწვავე პოზიციისკენ. იგრძნობოდა საქართველოს ჩემპიონის უპირატესობა. მალე მან იერიშიც წამოიწყო, შესწირა მხედარი, მაგრამ სადღაც უზუსტოდ ითამაშა.

— ცაიტნოტში ყველაფერი ვეღარ გავითვალისწინე, თუმცა კომბინაცია სწორი იყო, — გვითხრა კახაბრიშვილმა.

რუბცოვამ უპირატესობა შეინარჩუნა. თამაშს აზრი აღარ ჰქონდა და თბილისელი წაგებას შეურიგდა. ეს რუბცოვასთვის კარგი საჩუქარი აღმოჩნდა მისი დაბადების დღეს.

**თ. გიორგაძე.**

* * *

გთავაზობთ მონაწილეთა კენჭისყრის შედეგებს: 1. გეორგიევა, 2. კობაიძე, 3. კახაბრიშვილი, 4. ალექსანდრია, 5. ნიკოლაუ, 6. რაძიკოვსკა, 7. ხუგაშვილი, 8. ო. რუბცოვა, 9. კორომშინაძე, 10. ანდრეევა, 11. მერლინი, 12. ე. რუბცოვა, 13. კაკაბაძე, 14. ჩიქობავა.

* * *



**სურათზე:** ბულგარელი ანტონინა გეორგიევა (დგას) თვალს ადევნებს ნანა ალექსანდრიასა (მარჯვნივ) და იუგოსლაველი მილუნკა მერლინის თამაშს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ნ. სოროკინის დიდი წარმატება

**ლენინგრადი,** 22 მაისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ჭადრაკში სსრ კავშირის ვეტერან ოსტატთა პირველი ტურნირი. I-II ადგილები გაიყვეს ოსტატმა ნ. სოროკინმა (თბილისი) და საერთაშორისო ოსტატმა ვ. მაკოგონოვმა (ბაქო). III ადგილი დაიკავა ოსტატმა ა. ჩისტიაკოვმა (მოსკოვი), IV — ოსტატმა მ. შიშოვმა (თბილისი). V-VI ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა დ. ბრონშტეინმა (მოსკოვი) და ოსტატმა ა. ზამიხოვსკიმ (კიევი).

ტურნირის სამი პრიზიორი — სოროკინი, მაკოგონოვი და ჩისტიაკოვი მონაწილეობას მიიღებენ ვეტერანთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც შემოდგომაზე ჰოლანდიაში ჩატარდება.

[illegible]

### ცხინვალი

დამთავრდა „ტყავის ბურთის" პრიზის საქალაქო გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთათვის. უმცროსი ასაკის ბავშვთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ვაჟა-ფშაველასა და ქდანოვის ქუჩების გუნდები. ანგარიშით 4:0 გაიმარჯვეს პირველებმა. ვაჟა-ფშაველას ქუჩის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს უფროს ასაკშიც. მათ ანგარიშით 3:2 სძლიეს ლენინის ქუჩის გუნდს.

**ვ. მელქოევი.**

### მახარაძე

„კოლმეურნის" რაიონული სპარტაკიადის პროგრამაში 8 სახეობა შედიოდა. კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობა ნატანების კოლმეურნეობის ფიზკულტურულმა კოლექტივმა. ნატანებელმა სპორტსმენებმა I ადგილები დაიკავეს ძალოსნობაში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ტყვის სროლაში ყველას აჯობა შემოქმედის კოლმეურნეობის გუნდმა, ხელბურთსა და კალათბურთში — ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულმა კოლექტივმა.

**გ. ლომაძე,**
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.

[illegible]

### ბათუმი

აქ გაიმართა ველორბოლა გაზეთ „საბჭოთა აჭარის" პრიზზე. ქალთა შორის 15-კილომეტრიან რბოლაში გაიმარჯვა დინამოელმა ო. შიტინინამ. 25 კილომეტრზე ვაჟთა რბოლა მოიგო განთიადელმა ვ. კრიდიასთვმა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „განთიადის" წარმომადგენლებმა.

**მ. კირაკოსიანი.**

### სოხუმი

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ფრენბურთელთა აქ გამართულ რესპუბლიკურ პირველობაში 51 გუნდი მონაწილეობდა. ქალთა შორის I ადგილი დაისაკუთრა აჩიგვარის ტექნიკუმის ნაკრებმა. ვაჟებში ჩემპიონობა არავის დაუთმეს დიდი ჯიხაიშის სპორტსმენებმა.

**გ. იაშვილი.**

# ფინიშის სწორზე

როგორც ვიტყობინებოდით, ლენინგრადში მიმდინარეობს კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი თამაშები. მე-19 ტურში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი დამარცხდა კიევის „დინამოსთან" — 69:83 (29:42), მე-20 ტურში — მოსკოვის ოლქის „სპარტაკთან" — 41:50 (20:19), ხოლო 21-ე ტურში თბილისელებმა მოუგეს ვილნიუსის „კიბირკშტისს" — 47:39. აღსანიშნავია, რომ ეს სპი-ს პირველი წარმატებაა ლენინგრადის ტურნირში. ბოლო — 22-ე ტურის წინ თბილისელებს 6 ქულა აქვთ.

გთავაზობთ სხვა შეხვედრათა შედეგებს: მე-17 ტური. ტტტ (რიგა) — „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) 63:54 (28:29). ამ ტურის დანარჩენი შედეგების შესახებ უკვე ვიტყობინებოდით. მე-18 ტური. „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (მოსკოვი) 53:45 (25:18), „კიბირკშტისი" — „უნივერსიტეტი" (ტარტუ) 67:40 (29:12), ტტტ — „პოლიტექნიკა" (კაუნასი) 61:43 (34:20), „დინამო" (კიევი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 60:57 (32:30), „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) 62:55 (34:31). მე-19 ტური. „დინამო" (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი" 60:46 (30:28), „კიბირკშტისი" — „სერპ ი მოლოტი" 70:49 (31:32); ტტტ — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 81:60 (36:33), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 56:45 (29:19), „ბურევესტნიკი" — „პოლიტექნიკა" 66:60 (43:36), მე-20 ტური. „სერპ ი მოლოტი" — „დინამო" (კიევი) 72:50 (35:31), „უნივერსიტეტი" — „პოლიტექნიკა" 46:62 (20:27), ტტტ — „დინამო" (მოსკოვი) 67:60 (31:27), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „კიბირკშტისი". დამატებით 5 წუთში — 57:52 (48:48, 23:22).

# ორქვირიანი შესვენების შემდეგ

განახლდა სსრ კავშირის ჩემპიონატი. დიდ ინტერესს იწვევდა იმ გუნდების გამოსვლები, რომლებსაც ნაკრებში ჰყავთ მივლინებული თავიანთი მოთამაშეები.

მოსკოვის „სპარტაკი" ლენინგრადში შეხვდა „ზენიტს" და დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლო 2 ქულის აღება. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს კალინოვმა და ჰუსაინოვმა. „ზენიტმა" ერთადერთი საპასუხო ბურთი გაქვითა 11-მეტრიანი დარტყმით (უნანოვი).

ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვა ვოროშილოვგრადში კიევის „დინამომ". გატანილი გოლების ავტორები კიეველთაგან იყვნენ კამჩეი და ხრისტიანი, ხოლო „ზარიას" მხრივ — სემიონოვი.

დამარცხდა მხოლოდ ცსკა, რომელმაც შინ წააგო შეხვედრა „არარატთან". კაზარიანისა და იშტოიანის ორ ბურთს არმიელებმა უპასუხეს მხოლოდ ერთით (კოპეიკინი).

ფრედ (1:1) ითამაშეს „ჩერნომორეცმა" (პროკოპენკო) და „შახტიორმა" (კაზინკევიჩი).

ასეთივე შედეგით დამთავრდა მატჩი ორჯონიკიძეში ადგილობრივ „სპარტაკსა" და „ნევთჩის" შორის. ორჯონიკიძელები წინ იყვნენ (ძაგოევი), მაგრამ შევჩენკომ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა.

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და მინსკის დინამოელები. გაიმარჯვეს მინსკელებმა — 2:1. ანგარიში შესვენებამდე გახსნა მალოფეევმა, მეორე ტაიმში კი გოლები გაიტანეს ვორონინმა და მოსკოველმა ავრუცკიმ.

• •

# სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

„ფახთაქორთან" მატჩში თბილისელთა ახალბედა ფორვარდმა თ. ბურჯანაძემ თავისი პირველი გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო თბილისის დინამოელთა მე-1400 ბურთი საკავშირო ჩემპიონატებში.

„ზენიტთან" შეხვედრაში საიუბილეო, მე-1500 გოლი გაიტანეს მოსკოვის სპარტაკელებმა (კალინოვი).

გ. მაღუაშვილი.

სსრ კავშირის პირველობა

# ახალგაზრდობა იმარჯვებს

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 20 მაისი.

„დინამო" (თბილისი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 4:0 (3:0).

„დინამო": სტეფანია, კანთელაძე, რეხვიაშვილი (ჩიტაური), ჰელიძე (ქორიძე), ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, მაჩაიძე, ბურჯანაძე, გავაშელი, ლ. ნოდია.

„ფახთაქორი": ლიუბარცევი, დოცენკო, შტერნი, ტურგუნოვი, პეტუხოვი, ინოიატოვი (იაკუბოვი), ვარიუხინი, იუნუსოვი, მელქუმოვი (ლობოდა), ციბინი, იბრაჰიმოვი.

მსაჯი ბ. სოლოვიოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:1 „დინამოს" სასარგებლოდ. დინამოელთაგან გოლები გაიტანეს ამირანაშვილმა, ქორიძემ (11-მეტრიანი) და წერეთელმა, ტაშკენტელთაგან — ფილცევმა.

შეიძლება, ზოგიერთმა ფეხბურთის მოყვარულმა ეს მატჩი მეორეხარისხოვნად ჩათვალა და ამიტომ არ მოვიდა სტადიონზე. თბილისელებს აკლდათ ნაკრების 5 მოთამაშე და მეექვსეც — დაშავებული კუტივაძე, ტაშკენტის გუნდი—გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერია და „წვეთობით" აგროვებს ქულებს. რა უნდა იყოს ასეთ მატჩში საინტერესო?

მაგრამ ვინც ასე ფიქრობდა — შეცდა. შეცდა და დააკლდა საინტერესო ბრძოლით აღსავსე, სანახაობრივი მხრივ მდიდარ თამაშს, რომელიც თბილისის „დინამოს" ახალგაზრდა ფეხბურთელებმა გამართეს. მათ ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს „ფახთაქორს", ამ გუნდს კი „განახევრებულ" მეტოქესთან შეხვედრაში უდავოდ დაგეგმილი ჰქონდა ქულის მოპოვება. ისე, როგორც კიევში.

მთავარი ამბები დასაწყისში მოხდა. მე-4 წუთზე ნოდია სწრაფად გაიჭრა თავის ფლანგზე და კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი, სადაც სტუმრების ორი მცველი „ნეიტრალურ" მოწმედ დაესწრო გავაშელის ზუსტ თავურ დარტყმას — 1:0.

გავიდა 2 წუთი და ლიუბარცევს მეორე ბურთის გამოტანა მოუხდა ბადიდან. ეს იყო მისი ყოვლად მიუტევებელი, ელემენტარული შეცდომის შედეგი. კუთხურიდან გათამაშებული ბურთი კარიდან საკმაო მოშორებით, დაახლოებით ოციოდე მეტრზე მიუვიდა ილიადის. ნახევარმცველმა დაარტყა კარში, ლიუბარცევმა მიიღო ბურთი და... გაუშვა.

მე-12 წუთზე „ფახთაქორის" კართან კუთხური იქნა მოწოდებული. მცველებმა ბურთის მოგერიება ვერ შეძლეს, პეტრიაშვილი გავიდა მათ შორის, გადააწოდა მარცხნივ და ბურჯანაძემ მესამე გოლით დაამთავრა ეს შეტევა.

ასეთი ანგარიში მატჩის დასაწყისში მოთავებულ საქმეს ნიშნავს. ეს სტუმრებმაც კარგად იგრძნეს, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, ამ უიმედო მდგომარეობაშიც კი არ შეუწყვეტიათ ბრძოლა. სტეფანიას რამდენიმეჯერ მოუხდა საკმაოდ ძნელი ბურთის აღება.

შესვენების შემდეგ დინამოელები ერთხანს რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ჯერ ერთი, ტრავმების გამო მწყობრიდან გამოვიდა ორივე სტოპერი — რეხვიაშვილიც და ჰელიძეც. მერე თავდამსხმელები 15-20 წუთით გამოეთიშნენ ბრძოლას და თამაშის მთელი სიმძიმე დააწვა შუა და უკანა ხაზების მოთამაშეებს, რომლებიც თავს არ იზოგავდნენ ხიფათის ასაცილებლად.

შემდგომში ნოდია, გავაშელი, ბურჯანაძე ისევ აქტიურად ჩაებნენ თამაშში და ბურთმაც მაშინვე „ფახთაქორის" მხარეს გადაინაცვლა. 82-ე წუთზე ტაშკენტელთა მხარეს დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ილიადიმ ისე ოსტატურად „მოახვევინა" ბურთს, რომ ლიუბარცევმა იგი მხოლოდ ბადეში დაინახა.

რ. ქორიძე.

• • •



სურათზე: პირველი გოლი „ფახთაქორის" კარში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## სხვა მატჩები

„ა" კლასის I ჯგუფი. 21 მაისი. „სტროიტელი" (აშხაბადი) — „დინამო" (ლენინგრადი) 2:1, „პამირი" (დუშანბე) — „რუბინი" (ყაზანი) 0:1, „ალგა" (ფრუნზე) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 0:2, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 3:1, „კარპატი" (ლვოვი) — „დაუგავა" (რიგა) 4:0, „მოლდოვა" (კიშინიოვი) — ასკ (კიევი) 2:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:1, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — ასკ (ხაბაროვსკი) 0:1, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „ყაირათი" (ალმა-ათა) 0:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 3:0, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 2:0.

„ა" კლასის II ჯგუფი (II ზონა). 21 მაისი. „ტრუდი" (ვორონეჟი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:1, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „სატურნი" (რიბინსკი) 1:1, „სალუტი" (ბელგოროდი) — „ვოლგა" (კალინინი) 1:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ლოკომოტივი" (კალუგა) 1:1, „დრუჟბა" (მაიკოპი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 2:1, „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „დინამო" (სტავროპოლი) 0:0, „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) — „სტალი" (ვოლგოგრადი) 0:0, „დინამო" (კიროვაბადი) — „ვოლგა" (გორკი) 2:0.

# ფრე „პალმეირასთან"

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 21 მაისი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „პალმეირასი" (სან-პაულუ) 1:1 (1:0).

„ტორპედო": გოგია, ჩხაიძე, წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, ანფიმიადი, ვეკუა, ხერხაძე, ქორიძე (მესხაძე).

„პალმეირასი": რაული, ნევესი, პერეირა, ზეკა, დუდუ, ედუ, ჟაიმე (ცებრალი), კარტოზო, ადემირი, რიო (კორეუ).

მსაჯი გ. ბაქაწიძე (თბილისი).

ინტერესი, რომელიც ბრაზილიელ ფეხბურთელთა მიმართ გამოიჩინეს ქუთაისში, სავსებით გასაგებია. ამ ქვეყნის წარმომადგენლები პირველად თამაშობდნენ ჩვენს ქალაქში, ამას გარდა, „პალმეირასი" ბრაზილიური ფეხბურთის რიგითი წარმომადგენელი როდია. ეს გუნდი ბევრჯერ იყო თავისი შტატის ჩემპიონი, სან-პაულუსა და რიო-დე-ჟანეიროს შტატების ტრადიციულ ტურნირში გამარჯვებული, ბრაზილიის თასის მფლობელი, სამხრეთ ამერიკის დიდ ტურნირებში გამარჯვებული და ა. შ.

ბრაზილიელებმა გაამართლეს ეს მოლოდინი. მათი შესანიშნავი ტექნიკა, ბურთის ფლობის მაღალი ოსტატობა საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა. გადაცემები იყო უაღრესად ზუსტი, მოფიქრებული და, საერთოდ, „პალმეირასის" ფეხბურთელთა თამაშის მანერა ყოველმხრივ საინტერესო გახლდათ.

სტუმრები დაახლოებით 20 წუთს უტევდნენ. იერიშების დასამთავრებლად მათ წინ ჰყავდათ „მივლინებული" კარტოზო და ადემირი. „ტორპედოს" მეკარეს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა. სრული დატვირთვით თამაშობდა გუნდის დაცვაც.

შემდგომში მდგომარეობა გათანაბრდა და ანგარიშიც გაიხსნა. მარცხენა ფლანგზე გასულმა ერქომაიშვილმა კარის წინ ჩააწოდა ბურთი და „პალმეირასის" მცველმა ზეკამ საკუთარ კარში ჩაჭრა იგი.

ქუთაისელები განაგრძობდნენ იერიშებს. ხერხაძის ძნელი ბურთი ორჯერ აიღო რაულმა, 38-ე წუთზე ვეკუამ ძელს მოახვედრა ძლიერად დარტყმული ბურთი.

როგორც კი განახლდა თამაში შესვენების შემდეგ, ბრაზილიელებმა სწრაფად შეუტიეს მეტოქეს. გოგიამ შეძლო ძლიერი ბურთის მოგერიება, მაგრამ მას მოუსწრო ადემირმა და გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

დარჩენილ დროში ორივე კართან რამდენიმე კრიტიკული მომენტი შეიქმნა. მეტოქის კარის აღების კარგი შესაძლებლობანი ჰქონდათ ერქომაიშვილს, ანფიმიადის, ხერხაძეს, 58-ე წუთზე კი ქუთაისელთა კარი ძელმა იხსნა პერეირას დარტყმის შემდეგ.

უაღრესად საინტერესო და კორექტული მატჩი, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ფრედ დამთავრდა.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 10 | 6 | 3 | 1 | 18—6 | 15 |
| „დინამო" (კიევი) | 9 | 6 | 2 | 1 | 10—5 | 14 |
| ცსკა | 9 | 5 | 2 | 2 | 16—4 | 12 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 9 | 5 | 2 | 2 | 13—3 | 12 |
| „ნევთჩი" (ბაქო) | 9 | 3 | 6 | 0 | 9—3 | 12 |
| ასკ (როსტოვი) | 8 | 4 | 3 | 1 | 8—4 | 11 |
| „არარატი" (ერევანი) | 9 | 4 | 2 | 3 | 7—6 | 10 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 9 | 2 | 5 | 2 | 12—11 | 9 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 9 | 3 | 3 | 3 | 9—10 | 9 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 10 | 3 | 3 | 4 | 6—12 | 9 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 9 | 2 | 4 | 3 | 5—7 | 8 |
| „დინამო" (მინსკი) | 9 | 2 | 3 | 4 | 6—7 | 7 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 10 | 2 | 3 | 5 | 6—9 | 7 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 9 | 2 | 2 | 5 | 8—13 | 6 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 9 | 1 | 4 | 4 | 6—12 | 6 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 10 | 1 | 4 | 5 | 6—22 | 6 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 9 | 0 | 3 | 6 | 6—18 | 3 |

# „დილა" ასწორებს მდგომარეობას

გორი. ქალაქის სტადიონი. 21 მაისი.

„დილა" (გორი) — „დინამო" (ბრიანსკი) 1:0 (1:0).

„დილა": კირვალიძე, ნასარიძე, კობიაშვილი, გლოვადსკი, კოზინი, ამბრიაშვილი, მარღიშვილი, ჭეიშვილი (ჩიტაური), კაპანაძე (ეზუხბაია), პაპიაშვილი, მაღრაძე.

„დინამო": პოლიაევი, ბელოვი, ტექსტელიოვი, პარშინი, დიგიშინი, სერგეევი, შაგინი, გორელოვი, მარუშკინი, რომენკოვი, პოდპოლზინი.

მსაჯი პ. დემჩენკო (მოსკოვი).

გორელ ფეხბურთელთა წინაშე სერიოზული ამოცანა დგას. სტუმრად დაკარგული ქულების ანაზღაურება საჭიროა უახლოეს დროშივე, ამიტომ მათ მთელი მონდომებით ითამაშეს ბრიანსკის „დინამოსთან", თუმცა მხოლოდ მინიმალურ ანგარიშს დასჯერდნენ. ეს ერთადერთი გოლი მე-11 წუთზე გავიდა მაღრაძისა და პაპიაშვილის კომბინაციის შედეგად. პაპიაშვილი შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანში, მოატყუა მეკარე და ცარიელ კარში გაგზავნა ბურთი — 1:0.

„დილა" ტაიმის დასასრულამდე უტევდა და 23-ე წუთზე შეეძლო ანგარიშის გაზრდაც, მაგრამ მარღიშვილმა კარგი პოზიციიდან ძელს მოახვედრა ბურთი.

მეორე ტაიმში გორელები თითქმის დასახლდნენ მეტოქის ნახევარზე. მათ ბურთის გატანის ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ყველა იერიში უშედეგოდ დამთავრდა.

გ. გოზალიშვილი,

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# მერე გვიან იქნება...

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 21 მაისი.

„დინამო" (ბათუმი) — „მეტალურგი" (ტულა) 1:1 (0:0).

„დინამო": პავლოვი, ჩხაიძე, ცინარიძე, სირბილაძე, გიორგიადი, ილურიძე (წივწივაძე), დიმანოვი, ჭანტურია, გიორგაძე, მაჩხელიანი, რამიშვილი.

„მეტალურგი": ამოსოვი, ვოსტრიუკოვი, როსკინი, სლეპნევი, ბაბენკო, ჟივიუდა (მინაევი), დუდინი, ბელოუსოვი, კუზნეცოვი, ერმაკოვი, დოროფეევი.

მსაჯი ჰ. შირინიანი (ერევანი).

მართალია, ტულის „მეტალურგთან" ქულების აღება იოლი საქმე არ გახლავთ, მაგრამ ბათუმის დინამოელთა მიმართ საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ მათ როგორღაც უკლეს თამაშს და პოზიციებსაც თმობენ. ახლა შექმნილი მდგომარეობა კოლექტივისგან მოითხოვს ძალთა სრულ მობილიზაციას და მთელი ძალ-ღონით ბრძოლას როგორც შინ, ისე გარეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მერე უკვე გვიანი იყოს.

ამ მატჩშიც მასპინძლებმა ცუდად დაიწყეს თამაში. ჯერ კიდევ დასაწყისში ერმაკოვის დარტყმა ძელს მოხვდა და დინამოელები აშკარა გოლს გადაურჩნენ, მე-15 წუთზე კი პავლოვმა თავისი გუნდი აშკარა ხიფათისგან იხსნა.

ანგარიში გაიხსნა 55-ე წუთზე, როცა ჭანტურიამ კარგად გადასცა ბურთი გიორგაძეს და ამ უკანასკნელმა მიზანში გაგზავნა იგი. მაგრამ მასპინძლებმა ვერ შეძლეს გამარჯვების შენარჩუნება. 67-ე წუთზე ბელოუსოვმა მოიგო ორთაბრძოლა გიორგიადის და ზუსტად დაარტყა — 1:1.

შეხვედრის დასასრულამდე „დინამოს" შეეძლო მიეღწია წარმატებისთვის, მაგრამ რამიშვილმა კარგი მდგომარეობიდან უზუსტოდ დაარტყა.

ბათუმის „დინამომ" ბოლო სამ მატჩში სულ 2 ქულა აიღო და საგრძნობლად გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა.

ლ. მურვანიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

II ზონა

# სიხარული და ცრემლები

ტოკიო, 21 მაისი. იაპონელი მთამსვლელები ორჯერ წარმატებით ავიდნენ მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე (8848 მ), მაგრამ მესამე ცდაზე უამინდობის გამო მიზანს ვერ მიაღწიეს. მათ გამოდარებას არ დაუცადეს და დაბრუნდნენ კატმანდუში, საიდანაც ინდოეთის ქალაქ ნიუ-დელიში ჩავიდნენ.

მიუხედავად ამ ბოლო წარუმატებლობისა, იაპონელები აღტაცებული არიან თავიანთ თანამემამულეთა ხიმამაცით. რასაკვირველია, ყველაზე მეტ კმაყოფილებას თვით სპორტსმენები გრძნობენ. მაგრამ, როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელმა ს. იამამოტომ კორესპონდენტებს უთხრა, მათ სიხარულს ცრემლებიც ახლავს — 38 იაპონელი მთამსვლელიდან, რომლებიც ჯომოლუნგმას უტევდნენ, ერთ-ერთი დაიღუპა. 6900 მეტრის სიმაღლიდან დაშვების დროს 24 წლის ი. კიკუტი, რომელსაც 12-საათიანი გადასვლის შემდეგ პირდაპირ ფეხზე ეძინა, უფსკრულში ჩავარდა. მთამსვლელის გვამი მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ იპოვნეს.

# მხოლოდ 20 წლის შემდეგ

კატმანდუ, 21 მაისი. ნეპალის ჰიმალაის ერთ-ერთი ყველაზე ძნელად მისადგომი მწვერვალი — ანაპურნა (8078 მ) მთამსვლელობის ისტორიაში მეორედ დაემორჩილა ადამიანს. 20 მაისს იგი დაიპყრეს ინგლის — ნეპალის ერთობლივი ექსპედიციის წევრებმა, 27 წლის ჰენრი ოფვემა და 32 წლის ჯერი ოუენსმა.

20 წლის წინ ამ მწვერვალზე ფრანგი სპორტსმენები ავიდნენ. მას შემდეგ გფრ-ის მთამსვლელებმა ორჯერ და ინგლისელებმა სამჯერ უშედეგოდ სცადეს პირველდამპყრობთა წარმატების გამეორება.

# რასისტების წინააღმდეგ

ლონდონი, 22 მაისი. ინგლისის მთავრობამ კრიკეტის ეროვნულ ფედერაციას მოსთხოვა შეიცვალოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ივლისში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენებს ინგლისში უნდა გაემართათ შეხვედრები.

როგორც აღნიშნავენ, ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ლაგოსში აფრიკის სპორტის საქმეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდა. აქ ნათქვამი იყო, რომ თუ ზემოხსენებული ვიზიტი მოეწყო, ეროვნებათა თანამეგობრობის წევრი ყველა აფრიკული ქვეყანა ბოიკოტს გამოუცხადებს ედინბურგის სპორტულ თამაშებს.

# 16 ფინალისტის საქმენი

ბოგოტა, 21 მაისი. ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები ორ შემადგენლობად დაიყო და ერთ დღეს კოლუმბიის პირველ და მეორე ნაკრებ გუნდებთან სათამაშოდ გამოვიდა. მსოფლიო ჩემპიონთა „ა" ნაკრებში იყვნენ ბენქსი, ნიუტონი, კუპერი, მიულერი, ლაბონი, მური, ლი, ბოლი, ბ. ჩარლტონი, ჰერსტი და პიტერსი. გაიმარჯვეს ინგლისელებმა — 4:0. ორი ბურთი გაიტანა პიტერსმა და ორივე — ჩარლტონის კუთხური მოწოდებიდან. მესამე გოლის ავტორია თვით ჩარლტონი, მეოთხესი კი ბოლი. ჩემპიონებმა მატჩი ტაქტიკური სქემით 4—2—4 დაიწყეს, ხოლო დაამთავრეს სქემით 4 — 4 — 2, ყრუ დაცვაზე გადავიდნენ. ინგლისის „ბ" ნაკრებმა მოკრძალებული ანგარიშით გაიმარჯვა — 1:0.

მეხიკო, 21 მაისი. იმ სტადიონზე შეპარვისთვის, სადაც მექსიკის ნაკრები ვარჯიშობდა, პოლიციამ ორი მექსიკელი ჟურნალისტი და ფოტორეპორტიორი დააპატიმრა. IX მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ მათი გუნდი მზადების ბოლო ეტაპს სრულიად საიდუმლოდ ატარებს. „დახურული ვარჯიშის" სურვილი პირველად ინგლისელებმა გამოთქვეს, რომელთა მაგალითს უმალვე მიბაძეს ბელგიელებმა.

პუებლა, 21 მაისი. ურუგვაის ფეხბურთელებმა ადგილობრივ სამოყვარულო გუნდებთან ორი ამხანაგური საწვრთნელი მატჩი გამართეს. პირველმა ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 13:0, მეორემ — 11:0. ურუგვაელთა მწვრთნელს მიაჩნია, რომ გოლების ასეთი სიუხვე აამაღლებს მისი ბიჭების მორალურ სიმტკიცეს. მან უკვე გამოაცხადა ისრაელის ნაკრებთან პირველი მატჩის შემადგენლობა.

მეხიკო, 21 მაისი. ბელგიის ნაკრებმა ასტრონომიული ანგარიშით დაამარცხა ადგილობრივ სტუდენტთა სამოყვარულო გუნდი — 21:1. მეტოქე, რა თქმა უნდა, სუსტი იყო, მაგრამ მექსიკელ ჟურნალისტთა [illegible] ძალიან მწვავე იერიშების წარმოება ძალუძთ.

მოსკოვი, 22 მაისი. მსოფლიოს 9 საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე, მოსკოვის „დინამოს" სახელგანთქმული მეკარე ლ. იაშინი და მისი კოლეგა ლ. შმუცი (ცსკა) დღეს მეხიკოს გაფრინდნენ. ეს გამოწვეულია კოლუმბიის გუნდთან საწვრთნელ მატჩში საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი მეკარის ე. რუდაკოვის სერიოზული დაშავებით. 23 მაისს იწურება მომავალ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელების საბოლოო შემადგენლობათა წარდგენის ვადა. ასე რომ, სულ მალე შევიტყობთ ყოველი ნაკრების 22 ფეხბურთელის სიებს.

# „უკანასკნელ წამთა დრამა"

ლიუბლიანა, 21 მაისი. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელთა შეხვედრას, რომელიც აქ გუშინ გაიმართა, იუგოსლავიური პრესა „გიგანტთა მატჩს" უწოდებს. ორივე გუნდი თავდაუზოგავად, უშეღავათოდ იბრძოდა. თამაშის სანახაობრივი მხარე მართლაც წარმტაცი იყო. მთელი შეხვედრის მანძილზე ჭირდა თქმა, ვის გაუღიმებდა ბედი, მაგრამ თამაშის ბოლოს საბჭოთა კალათბურთელები სანუკვარ მიზანს მიუახლოვდნენ. ჯერ ერთი, საბჭოთა ქვეყნის ნაკრები 25-ე წუთიდან ერთთავად 2, 4 ან 6 ქულით უსწრებდა მეტოქეს. ამას გარდა, როცა მატჩის დამთავრებას 4 წუთი აკლდა, ანგარიში იყო 70:66 მის სასარგებლოდ. სწორედ ამ ბოლო ოთხ წუთში იჩინა თავი ბზარმა საბჭოთა კალათბურთელების თამაშში. აი, ამ დრამატული 4 წუთის სტენოგრამა: სსრ კავშირი — აშშ. 72:66, 72:68 (ამ ვითარებაში პაულაუსკასის ნატყორცნი ორივე საჯარიმო მიზანს ასცდა). რჩება 3 წუთი: 72:69. რჩება 2,5 წუთი: 72:71 (პაულაუსკასის 2 საჯარიმო კვლავ მიზანს სცდება). ჯარიმდება კოვალენკო: 72:72, 72:73. დარჩა წუთნახევარი: პაულაუსკასმა მეხუთე საჯარიმო მიიღო. რჩება 6 წამი: ამერიკელები კიდევ 2 ქულას იღებენ და... 72:75. ასე დამარცხდა თამაშის მიწურულს საბჭოთა ნაკრები (პირველი ტაიმი ფრედ დამთავრდა — 44:44). „...უკანასკნელ წამთა დრამა", ასე დაახასიათა ეს მატჩი ზაგრების გაზეთმა „სპორტსკე ნოვოსტიმ".

აი, რა თქვეს შეხვედრის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე მწვრთნელებმა: ფიშერი (აშშ) — „თამაშის ბოლოს ჩვენ ბედმა გაგვიღიმა, რუსებს კი არა". გომელსკი (სსრ კავშირი) — „ჩვენმა მეტოქეებმა შეხვედრის ბოლო უკეთ ჩაატარეს".

ეს კია, რომ საბჭოთა კალათბურთელები ძალიან დაიქანცნენ. პაულაუსკასსა და ს. ბელოვს წუთიც არ დაუსვენიათ, სულ მოედანზე იყვნენ. ბელოვმა გუნდს 24 ქულა შესძინა, პაულაუსკასმა—22, ანდრეევმა—10, ჟარმუხამედოვმა და კოვალენკომ კი მხოლოდ 4-4.

ვერ დავემდურებით ჩვენს თანამემამულეს ზ. საკანდელიძეს, რომელმაც მოედანზე 30 წუთს დაჰყო. იგი თავგამოდებით და ოსტატურად იბრძოდა.

ამერიკელებიდან გუნდს ყველაზე მეტი ქულა შესძინა ვაშინგტონმა (31 წუთს ითამაშა) — 18. დანარჩენების შედეგები ასეთია: სილიმენი—16 ქულა, ჰილმენი — 12, უილიამსი—10, ბროუდი — 9, სმითი — 7 ქულა.

ამ დღეს იტალიელებმა დაამარცხეს ურუგვაელები—76:65, ხოლო იუგოსლავიელებმა—ჩეხოსლოვაკიის გუნდი—94:84.

დღეს სსრ კავშირის ნაკრები ისვენებდა. 21 მაისი მართლაც რომ სენსაციების დღე იყო: აშშ-ს გუნდი დამარცხდა იტალიელებთან — 64:66 (33:32), ხოლო ბრაზილიელებმა წააგეს ჩეხოსლოვაკიელებთან — 71:72 (40:34). იუგოსლავიელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს, ამჯერად — ურუგვაელებთან — 63:45 (37:26).

ხვალ კალათბურთელები ისვენებენ, ზეგ კი ბრძოლა განახლდება. 23 მაისს საბჭოთა კალათბურთელები იტალიელებს ხვდებიან, ხოლო 24 მაისს — ჩემპიონატის ბოლო დღეს — იუგოსლავიელებს.

ზ. ჯაფარიძე,
ნ. გუგუშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

გათამაშების ცხრილი

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 4 | 0 | 303—247 | 4 |
| აშშ | 3 | 1 | 303—237 | 3 |
| იტალია | 3 | 2 | 353—341 | 3 |
| სსრ კავშირი | 2 | 2 | 329—256 | 2 |
| ბრაზილია | 2 | 2 | 261—275 | 2 |
| ჩეხოსლოვაკია | 1 | 4 | 365—440 | 1 |
| ურუგვაი | 0 | 4 | 192—310 | 0 |

## მომავალი ჩემპიონატების მისამართები

ლიუბლიანა, 20 მაისი. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ვაჟთა VII მსოფლიო ჩემპიონატის (1974 წ.) მასპინძლად პუერტო-რიკოს დედაქალაქი სან-ხუანი დაასახელა. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი 1971 წელს გაიმართება სან-პაულუში (ბრაზილია).

# პირველი ქულა

მოსკოვი, 21 მაისი. ერთდღიანი შესვენების შემდეგ, დღეს ცსკა-ს დარბაზში ჩატარდა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის IV ტურის მატჩები. თბილისის „ბურევესტნიკმა" აქ გამართულ შეხვედრებში, როგორც იქნა, ერთი ქულა მოიპოვა: ფრედ დაამთავრა თამაში ცსკა-სთან — 16:16.

ლიდერმა — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა — მორიგი 2 ქულა შემატა თავის აქტივს. სტუდენტებმა ამჯერად რიგის „სტრაუმე" დაამარცხეს — 29:19. იმარჯვა მოსკოვის „კუნცევომაც", რომელმაც მოუგო ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის" — 14:12. კრასნოდარის „უნივერსიტეტმა" აჯობა ზმეტის — 18:16.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტიტუტი (მოსკ.) | 11 | 10 | 1 | 0 | 237—192 | 21 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 11 | 8 | 2 | 1 | 195—164 | 18 |
| „უნივერსიტეტი (კრასნოდარი) | 11 | 6 | 1 | 4 | 201—200 | 13 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 11 | 4 | 1 | 6 | 193—193 | 9 |
| ცსკა | 11 | 3 | 3 | 5 | 195—212 | 9 |
| „სტრაუმე" (რიგა) | 11 | 3 | 1 | 7 | 192—214 | 7 |
| ზმეტი (ზაპოროჟიე) | 11 | 2 | 2 | 7 | 172—187 | 6 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 11 | 2 | 1 | 8 | 168—191 | 5 |

# სტადიონი... მღერის

პოზნანი, 21 მაისი. იმ ამბავმა, რომ პოლონეთის ნაკრების ორი ველოსიპედისტი პირველი გამოჩნდა ადგილობრივი სტადიონის ბილიკზე, გუშინ ენით აუწერელი აღტაცება მოჰგვარა მშვიდობის ველორბოლის IX ეტაპის ფინიშის სანახავად შეკრებილ 55 ათას გულშემატკივარს. ესენი იყვნენ რ. შურკოვსკი და ეროვნული ნაკრების კაპიტანი, 24 წლის ზ. ჩეხოვსკი.

სტადიონი ერთხმად გაჰყვიროდა: „ბრავო!", და ამ ყვირილით ამხნევებდა 137-კილომეტრიან ეტაპზე გამარჯვებისთვის მებრძოლთ. ფინიშთან პირველი მიიჭრა ჩეხოვსკი, რომელსაც გულშემატკივრებმა უმღერეს პოლონური ტრადიციული სადღესასწაულო სიმღერა: „ას წელიწადს". გამარჯვებული ხომ მათი თანაქალაქელი იყო! ჩეხოვსკი ზედიზედ მეოთხე წელია მონაწილეობს მშვიდობის ველორბოლებში, მაგრამ მშობლიურ ქალაქში გამარჯვება არ მოუპოვებია. პროფესიით იგი დიზელის ძრავების მექანიკოსია.

III ადგილიც პოლონელმა ზ. ხანუშჩიკმა დაიკავა. მათი დრო (ბონიფიკაციის გაუთვალისწინებლად) ასეთია — 3:08.12.

ეს პოლონელთა უკვე მეშვიდე გამარჯვებაა ცალკეულ ეტაპებზე.

საბჭოთა ნაკრები ამ მზიან და ქარიან დღეს ფინიშთან მეორე მივიდა, რამაც 9 ეტაპის დროის ჯამში ერთი საფეხურით მაღლა გადანაცვლების საშუალება მისცა. ახლა საბჭოთა ველოსიპედისტები IV ადგილზე დგანან — 116:18.33. წინ არიან პოლონეთის (115:59.27), ჩეხოსლოვაკიის (116::15.27) და საფრანგეთის (116:16.18) გუნდები.

პირად პირველობაში კვლავინდებურად ლიდერობს შურკოვსკი—28:55.57. მეორეა ფრანგი მ. დიუშემენი, რომელიც მონაწილეთა შორის წონით (60 კგ) ყველაზე ნაკლებია — 28:58.49. III ადგილზეა ხანუშჩიკი—29:00.30.

საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო — გ. საიდხუჟინი IX ადგილზეა (29:02.44). დანარჩენების შედეგები ასეთია: მე-20 ადგილი — ი. მიხაილოვი (29:04.33), 21-ე — რ. კალნენიეკსი (29:05.26), 24-ე — ი. დმიტრიევი (29:05.45), 28-ე — ვ. კუხარსკი (29:06.09), 32-ე — ა. გუსიატნიკოვი (29:07.15), 58-ე — ვ. სოკოლოვი (29:40.59).

დღეს ველორბოლის მონაწილენი ისვენებენ.

X ეტაპზე — პოზნანიდან მაინის ფრანკფურტამდე (გდრ) 105-დან უკვე 89 ველოსიპედისტი იასპარეზებს. დისტანცია გდრ-ის ტერიტორიაზე გადადის.

• • •

„მე პირველი წელი როდია, რაც სსრ კავშირის ნაკრების ველოსიპედისტებთან ვმუშაობ სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობის დროს, — უთხრა პოლონელ კორესპონდენტს საბჭოთა გუნდის ექიმმა ი. ბოგდანოვმა, — მაგრამ ამდენი საქმე ჯერ არასდროს მქონია. გუსიატნიკოვი, სოკოლოვი და დმიტრიევი თითქმის ვერც ერთ ეტაპს ვერ გადაურჩნენ უავაროდ. IV ეტაპის შემდეგ გრადეც-კრალოვეში მე მინდოდა სოკოლოვისთვის საერთოდ ამეკრძალა ასპარეზობა, მაგრამ მან მაინც დამიყოლია და ბრძოლა გააგრძელა. საოცარია, რომ ასეთი სერიოზული ტრავმის შემდეგ მან ვერცხლის მედალი მოიგო VIII ეტაპზე — ვლოცლავეკიდან ბიდგოშჩამდე".

ამ ეტაპზე (103 კმ) საბჭოთა სპორტსმენები მართლაც ძალიან კარგად მიდიოდნენ (ეტაპი მოიგო პოლონეთის ნაკრების 22 წლის დებიუტანტმა, ზეინკალმა ა. კაჩმარეკმა), ლიდერთა ჯგუფში იყვნენ და ფინიშთან გამარჯვებულებთან ერთად მივიდნენ — 2:31.11. გუნდურ ჩათვლაში VIII ეტაპზე სსრ კავშირის გუნდი მეორე იყო. იგი მხოლოდ პოლონელ სპორტსმენებს ჩამორჩა.

# ახალი ამბები

● ფუკუოკა, 20 მაისი. თავისი იაპონური ტურნეს პირველი მატჩი სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა აქ გამართა. სტუმართა წინააღმდეგ გამოვიდა მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი — იაპონიის ნაკრები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1 (15:5, 10:15, 15:5, 15:5). მოედანზე საუკეთესო იყო ნ. იამასიტა, რომლის თითქმის ყველა დარტყმა მიზანს აღწევდა.

● მოსკოვი, 20 მაისი. დღეს ოთხ ქალაქში — სიზრანში, პერვოურალსკში, ერევანსა და მოსკოვში სტარტი აიღო სსრ კავშირის ჩემპიონატმა ბალახის ჰოკეიში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ გუნდები, რომლებმაც შარშან საკავშირო ტურნირებში გამოიჩინეს თავი, აგრეთვე, შესარჩევ თამაშებში გამარჯვებულნი. ესაა ჩემპიონატის პირველი ეტაპი, რომლის შედეგების მიხედვით 8 უძლიერესი კოლექტივი ულიანოვსკში (27 ივნისი-4 ივლისი) გაითამაშებს საპრიზო ადგილებს. ამ გადამწყვეტი შეჯიბრების წინ საბჭოთა ნაკრები გდრ-ში გაემგზავრება, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს. სექტემბერში კი იგი ევროპის I ჩემპიონატში იასპარეზებს. თუ საბჭოთა სპორტსმენების დებიუტი ხეირიანი გამოდგა, მათ I მსოფლიო ჩემპიონატში სათამაშოდ დაუშვებენ (ეს ტურნირი 1971 წლის თებერვალს გაიმართება პაკისტანში).

● მოსკოვი, 21 მაისი. დამთავრდა ტყვიის სროლაში 7 ქვეყნის სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომლის პროგრამაშიც ექვსი ვარჯიში იყო. მასპინძლებმა ხუთ ვარჯიშში ყველას აჯობეს (სამ ვარჯიშში გამარჯვებულებზე უკვე ვიტყობინებოდით. — რედ.). „გაქცეულ ტახს" ყველაზე ზუსტად ესროდა ა. ბუცისი—174 ქულა, ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლა კი ვ. ავილოვმა მოიგო—1141 ქულა. გუშინ, ტურნირის ბოლო დღეს, იმარჯვა ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონმა გ. კოსიხმა (ყველა — სსრ კავშირი), რომელმაც სამატჩო პისტოლეტით 60 გასროლით 573 ქულა მოაგროვა. ეს ქულით სჯობს მის მსოფლიო რეკორდს და 11 ქულით — ოლიმპიურ რეკორდს, რომელიც კოსიხმა მეხიკოში დაამყარა.

● მოსკოვი, 21 მაისი. აქ გაიმართა საბჭოთა არმიისა და პაკისტანის არმიის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი თავისუფალ ჭიდაობაში. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 9:2.

● ვარშავა, 21 მაისი. პოლონელმა მძლეოსნებმა ქვეყნის კიდევ ორი ახალი რეკორდი დაამყარეს: ლ. დობროვოლსკა-ხევინსკამ ბირთვი 17,44 მეტრზე ჰკრა, ბ. დობროშმა კი ჭოკით 510 სმ სიმაღლე დაძლია.

● პარიზი, 21 მაისი. ჟ. გოტიემ საფრანგეთის ორი ახალი რეკორდი დაამყარა: ერთსაათიან რბენაში — 19 კმ 882 მ, 20 კმ კი 1 საათსა და 20,2 წამში დაფარა. ორივე შედეგი საერთაშორისო კლასისაა.

● მოსკოვი, 21 მაისი. პოტსდამის (გდრ) რეგბისტებმა აქ ორი ამხანაგური მატჩი გამართეს სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონთან — მოსკოვის „ფილისთან" და ორივეჯერ დამარცხდნენ — 3:11 და 9:13.

● ხარკოვი, 21 მაისი. უკრაინის მძლეოსანთა ზონალურ ტურნირში 110 და 200 მეტრზე თარჯრბენი მოიგო ვ. სკომოროხოვმა (ვოროშილოვგრადი) — 14,2 და 23,1. ვ. ბარკოვსკი (კიევი) 774 სმ სიგრძეზე გადახტა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8( უე 08193